საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო აღრიცხვის სავალდებულოდ დაწესებით საზღვარგარეთ ამომრჩეველთა ერთიანი სიის სრულყოფის ხელშეწყობის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2018 წლის 26 დეკემბერს მიღებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონით (4137 რს) დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე უფლებამოსილია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე. კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის[1] თანახმად, „პროექტის თანახმად, კანონიდან ხდება მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ამოღება, რომელიც ავალდებულებდა საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომას. აღნიშნული ცვლილების განხორციელება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, საკონსულო აღრიცხვაზე დაუდგომლობა აღარ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველს. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის სანქციას საზღვარგარეთ მყოფ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც არ მიმართეს შესაბამის ორგანოებს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თხოვნით“. შესაბამისად, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კანონიდან ამოღებულ იქნა ნორმა, რომელიც ავალდებულებდა საზღვარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომისათვის მიემართა შესაბამისი ორგანოსათვის. საგულისხმოა, რომ საკონსულო საინფორმაციო ვებ პორტალზე www.geoconsul.gov.ge წარმოდგენილი ინფორმაციის[2] თანახმად, საკონსულო აღრიცხვა ემსახურება მხოლოდ საკონსულო სამსახურის მიერ თქვენი უფლებების ეფექტურად დაცვის მიზანს, მაგალითად, უცხო ქვეყანაში შექმნილი საომარი თუ საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში - თქვენი ადგილსამყოფელის დროულად დადგენას და საკონსულო დახმარების ეფექტურად გაწევას. საკონსულო აღრიცხვა ასევე შესაძლებლობას იძლევა, რომ პირმა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში - საზღვარგარეთ საარჩევნო უბნებზე[3]. ჩემის მოსაზრებით, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა ასევე ხელს შეიძლება უწყობდეს

---

[1] იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/184314

[2] იხ. ბმული: https://www.geoconsul.gov.ge/HtmlPage/html/View?id=41

[3] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია ასევე დგება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული იმ ამომრჩეველთა შესახებ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან.

მიგრაციული პროცესების მართვას და საქართველოში სულადობრივი კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლების პროცესს. თუმცა, ათწლეულების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო უწყებების/ უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგს, ბოლო წლების განმავლობაში წარმოადგენდა საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი მხოლოდ და მხოლოდ 45-60 ათასი პირი. თავისთავად, მოცემული ვითარება ზემოხსენებული ამოცანებისა და მიზნების შესრულებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც 2020 წლის 2 ივლისს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების (კანონი 6723 რს) გათვალისწინებით, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს შექმნისათვის მოთხოვნები უფრო გართულდა - საჭიროებს ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის[4]. ზემოხსენებულ ვითარებაში, მათ შორის როდესაც საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ნებაზეა დამოკიდებული და არაშესატყვისი საკონსულო აღრიცხის მონაცემების პირობებში, კიდევ უფრო შემცირდება საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნების რაოდენობაც. მოცემული გამოწვევის საპასუხოდ კი უნდა დაისახოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეწყობს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის პროცესს, იქნება ეს წამახალისებელი გარემოებები (მაგალთად საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი პირებისათვის საშეღავათო საკონსულო მოსაკრებელი) თუ სავალდებულო მოთხოვნა (საკონსულო სერვისების მიუღებლობა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის გარეშე), რაც ასევე ცალკეულად აღნიშნული ცვლილების შემდგომ უნდა განისაზღვროს „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის ხელიშემშლელი გარემოება.

აღნიშნული კი შემდეგ ერთი ათწლეულის ფარგლებში მოგვცემს მაქსიმალურად მიახლოებულ მონაცემებს (გამომდინარე იქიდან, რომ 10 წლის მანძილზე უმრავლეს მათგანს დასჭირდება საკონსულო მომსახურება) სურათს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა ოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონით კვლავ განისაზღვროს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის სავალდებულო ხასიათი. მაგალითად, კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის ჩამოყალიბდეს (კორექტირებულ იქნეს პირველი წინადადება) შემდეგი ფორმით:

- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე ვალდებულია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად პირის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის უფლებამოსილება აქვთ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, საკონსულო დაწესებულებას, მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ

[4] პარლამენტის ვებ გვერდზე

წარმომადგენლობაში შექმნილ საქართველოს ინტერესთა სექციას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტსა და სააგენტოს.

- **კანონპროექტის მიზანი:** კანონპროექტის მიზანია საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის პროცესების და საარჩევნო უფლების რეალიზაციის პროცესებს.
- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, კანონის 3-ე მუხლის მეშვიდე პუნქტიდან დარედაქტირდება, რომლის შესაბამისად საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა საქართველოს მოქალაქეებისთვის სავალდებულო გახდება.
- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

08/08/2022